ამონაწერი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი N 5-დან

სხდომას თავმჯდომარეობდა - შალვა მშვილდაძე-საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, გია სახამბერიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, სიმონ ჭოლოკავა, ფრიდონ მაჩიტაძე, მამუკა გორგოძე, გაბრიელ ღიბრაძე, მაია კბილაშვილი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

არ ესწრებოდა: გიორგი რობაქიძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნა ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ ბიუროს წევრებს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ერთი თვის წინ აღნიშნული ფრაქცია გაუქმდა მისი მესამე წევრის გარდაცვალების გამო, ამჟამად ფრაქციას დაემატა ახალი წევრი საკრებულოდან და საკრებულოს იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისასა განცხადებით მომართა ფრაქციის წევრებმა ფრაქციის ხელახლა რეგისტრაციაზე, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგინეს ფრაქციის დაფუძნების ოქმი, პლათფორმა და წესდება, რომელიც სრულად შეესაბამება საკრებულოს რეგლამენტს.

აზრი გამოთქვეს: მამუკა გორგოძემ, გია სახამბერიძემ.

ბიურომ გადაწყვიტა:

1.“ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112 დადგენილების 35-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციაში გატარდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“(ფრაქციის დაფუძნების მასალები თან ერთვის).

2. ფრაქციის რეგისტრაციის თაობაზე ეცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 28 აპრილის მორიგ სხდომაზე. და მუნიციპალიტეტის მერიას

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-11 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 11 ბიუროს წევრი

სხდომის თავმჯდომარე: ხელმოწერილია შალვა მშვილდაძე

ამონაწერი ვალიდურია დედანთან.

საკრებულოს აპარატის უფროსი

ნოდარ ებანოიძე